საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

სარჩევი

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ამპერმეტრის“ შექმნა 3
ბიოდიზელის სინთეზის მეთოდის მოდიფიცირება და თერმოდინამიკური თვისებები 6
გალვანური ელემენტი (ქიმია-ფიზიკა) 9
გარე განათების სისტემა 12
გრაფიტის ფორტეპიანო 15
კუთხის და დახრილობის სენსორის შექმნა და გამოყენება 18
ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ვოლტმეტრის“ შექმნა 21
თვალის მიერ ფერების აღქმა 24
მეტეოსადგური 29
გეომეტრიული სივრცული ფიგურების და ნებისმიერი ფორმის სხეულების მოცულობის დადგენა 32
მხედველობის დარღვევები 36
ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ომმეტრი“-ის შექმნა 39
თერმოელექტრული გენერატორი. პელტიეს ელემენტი 42
პირობითი რეფლექსები 46
როგორ მიიღება ეკრანზე გამოსახულება 50
სითხის დონის დადგენა ავზში 53
სიმკვრივის დადგება 56
სინათლის სპექტრის და ტენიანობის გავლენა ცოცხალ ორგანიზმებზე 60
ციფრული საზომი ხელსაწყოს – „სპიდომეტრი“-ის შექმნა 65
სუნთქვა 69
უნივერსალური ციფრული დინამომეტრი 73
უნივერსალური ინდიკატორის ქაღალდის დამზადება ბუნებრივი ანტოციანინების საფუძველზე 77
ციფრული კურვიმეტრი 80
ხაზზე მავალი რობოტი 84
ხაზზე მავალი რობოტის მოძრაობის რეგულირება შუქნიშნის საშუალებით 88

1. STEAM პროექტი

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ამპერმეტრის“ შექმნა

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ შევქმნათ დენის ძალის საზომი ხელსაწყო, რომელსაც გამოვიყენებთ სხვადასხვა წრედების გამოკვლევისას?

იცით თუ არა,

ჩვენს გარშემო უამრავი ციფრული ტაბლოა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას, დროის, ტემპერატურის, წნევის, სიჩქარის, მანძილის, მოხმარებულ ელექტო ენერგიის, სიმძლავრის, მასის, ძალის და კიდევ უამრავი სიდიდის შესახებ. ეს ხელსაწყოები საკმაოდ დიდი სიზუსტით მუშაობენ და ძალიან გვიმარტივებენ ყოველდღიურობას.

ასეთი მოწყობილობები შექმნილია ბუნების სხვადასხვა კანონის გამოყენებით.

მათ ტაბლომდე ინფორმაცია მიდის ელექტრული დენის საშუალებით. მოწყობილობა ამ დენის ძალას ზომავს და, შესაბამისად, დენის ძალის თითოეულ მნიშვნელობას შეუსაბამეს გარკვეულ გამოსახულებას, რომელსაც ეკრანზე ვხედავთ.

ამრიგად, დენის ძალის გაზომვა ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც თანამედროვე მოწყობილობების მართვასა და მათგან ინფორმაციის მიღებაში გვეხმარება. დენის ძალის თითოეულ მნიშვნელობას შეუსაბამეს გარკვეულ გამოსახულებას, რომელსაც ეკრანზე ვხედავთ.

შენი დავალება

შექმნა საზომი ხელსაწყო **ამპერმეტრი** შენი სკოლის ფიზიკის ლაბორატორიისათვის, რომელსაც გამოიყენებ დენის ძალის გასაზომად.

მის შექმნაში შენ დაგეხმარება ელექტროდინამიკაში მიღებული ცოდნა, ხოლო მიკროკონტროლერ Arduino-ს დახმარებით და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნით შეძლებ მონაცემის წაკითხვას, დამუშავებას და ვიზუალიზაციას.

შექმნის პროცესში სიღრმისეულად გაიაზრებ იმ პროცესებს, რომელსაც სწავლო თეორიაში, რაციონალურად გამოიყენებ შენს ცოდნასა და უნარებს.

გაგრძელება

1. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ამპერმეტრის“ შექმნა

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- რომელ პარამეტრზეა დამოკიდებული წრედში გამავალი დენის ძალა?
- იმსჯელე, როგორ დაადგენ წრედში დენს, თუ ჩართულია 1 წინაღობა, რომლის სიდიდე შენთვის ცნობილია და მასთან ერთად ჩართულია მიმდევრობით რაიმე დატვირთვა?
- როგორი უნდა იყოს წრედში მუდმივად ჩართული წინაღობის რაოდენობრივი მნიშვნელობა, რომელიც გვეხმარება დენის ძალის დადგენაში, რომ მან გავლენა არ მოახდინოს წრედში გამავალ დენზე?
- როგორ მოვახდინოთ მიკროკონტროლერში გადაცემული მონაცემების ანალიზი და ციფრულ ფორმატში ვიზუალიზაცია.

საგანი

ფიზიკა მე-10 კლასი

სამიზნე ცნება ძაღა, ფიზიკური პროცესი

თემა: მუდმივი დენის კანონები

საკითხები: დენის ძალა, ძაბვა, წინაღობა, ომის კანონი წრედის უბნისათვის. შეერთების სხვადასხვა სახეები.

საგანი

კომპიუტერული ტექნოლოგიები

საკითხები:

I. ალგორითმი და ალგორითმის შემუშავება;
II. პროგრამული ენა;
III. პროგრამის ქცევის პროგნოზირება

გაგრძელება

1. STEAM პროექტი

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ამპერმეტრის“ შექმნა

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	
2.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
3.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
4.	რეზისტორი R02 0.2W 1 ომი, 2 ომი 5 ომი 10 ომი	
5.	შტეკერი 320 C DC 5.5 X 2.1MM SOCKET CABLE	
6.	ელემენტის ბუდე 112 BATT SOCKET 4 X AA 2 + 2	
7.	ელემენტის ბუდე 1013 BATT SOCKET 9V WITH PLUG	
8.	სამაკეტო დაფა 4.6×3.4×0.8 სმ (8515)	
9.	არდუინო ნანო ან მინი	
10.	ციფრული ინდიკატორი თხევადკრისტალური ეკრანი LCD RC1602A 80.0X36.0MM	

დამხმარე რესურსები

1. physics.bu.edu
2. www.schoolphysics
3. **Geogebra.org:**
   1 www.geogebra.org 2 www.geogebra.org 3 www.geogebra.org
   4 www.geogebra.org 5 www.geogebra.org
4. **Phet.colorado:** 1 Phet.colorado.edu 2 Phet.colorado.edu

2. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ განვახორციელო ბიოდიზელის სინთეზი, როგორ გამოვთვალო მიღებული ბიოდიზელის ენერგეტიკული ღირებულება და გამოვიყენო მიღებული პროდუქტები პრაქტიკული მიზნებისათვის, კერძოდ, საწვავად.

იცით თუ არა,

ბიოდიზელი არის ერთ – ერთი ალტერნატიული საწვავი, რომელზეც შეეძლებათ მუშაობა დიზელზე მომუშავე ტექნიკას.

როგორ ფიქრობ, როგორ მიიღება ბიოდიზელი?

B10 ბიოდიზელი

ბიოდიზელის სინთეზის მეთოდის მოდიფიცირება და თერმოდინამიკური თვისებები

შენ უკვე გაქვთ საკმარისი ცოდნა ქიმიიდან და ფიზიკიდან, რომ თავად, არა მარტო გაიაზრო, არამედ განახორციელო ბიოდიზელის სინთეზი, გამოთვალო მიღებული ბიოდიზელის ენერგეტიკული ღირებულება და გამოიყენო მიღებული პროდუქტები პრაქტიკული მიზნებისათვის, კერძოდ, საწვავად

ბიოდიზელის წარმოების ციკლი



შენი დავალება

- განახორციელო სხვადასხვა ტიპის ბიოდიზელის სინთეზი და გამოთვალო მიღებული ბიოდიზელის ენერგეტიკული ღირებულება;
- გამოიყენო მიღებული პროდუქტები პრაქტიკული მიზნებისათვის, კერძოდ, საწვავად.

გაგრძელება

2. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

ბიოდიზელის სინთეზის მეთოდის მოდიფიცირება და თერმოდინამიკური თვისებები

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- როგორ განახორციელებთ ბიოდიზელის სინთეზს?
- როგორ გამოთვლით მიღებული ბიოდიზელის ენერგეტიკულ ღირებულებას?
- როგორ გამოიყენებთ გაზომვებით მიღებულ შედეგებს მიღებული ბიოდიზელის პრაქტიკული მიზნებისათვის გამოსაცდელად? (მათი გამოყენების შესაძლებლობა საწვავად).

საგანი

ქიმია

სამიზნე ცნება – ნივთიერება

ცხიმი

ესტერი

სამიზნე ცნება – ფიზიკური და ქიმიური მოვლენები

ჰიდროგენიზაცია

საგანი

ფიზიკა მე-10 კლასი

სამიზნე ცნება – ენერგია

შინაგანი ენერგია

გაგრძელება

2. STEAM პროექტი

ბიოდიზელის სინთეზის მეთოდის მოდიფიცირება და თერმოდინამიკური თვისებები

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	მეგვალძირა კოლბა, 500 მლ-იანი	
2.	მაგნიტური სარევი	
3.	როდინი	
4.	გამყოფი ძაბრი	
5.	ქიმიური ჭიქა	
6.	ერლენმეიერის კოლბა	
7.	სასწორი	
8.	თერმომეტრი	
9.	პიპეტი (10 მლ)	
10.	ელექტროქურა	

დამხმარე რესურსები



თეორიული მასალა:

1. **ესტერები და ცხიმები:** მიღება, ჰიდროლიზი, ცხიმების კლასიფიკაცია, შესაპნების რეაქცია – ელიზბარ ელიზბარაშვილი
2. ორგანული სინთეზი, ესტერიფიკაციის რეაქცია, ძმარმჟავაბუთილეს-ტერის სინთესი, თეა მათითაიშვილი, ტელესკოლა
3. ბიოდიზელი, search, ბიოდიზელის მიღების მეთოდიკა

3. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ განვახორციელო და ავსახო გალვანური ელემეტის საშუალებით ქიმიური დენის წყაროს მიღების ეტაპები/შედეგები და როგორ დავაკავშირო მიღებული ცოდნა ყოველდღიურ საქმიანობასთან?

იცით თუ არა,

როგორ არის შესაძლებელი ელექტროენერგიის მიღება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი ყოველდღიურობა? გსმენიათ თუ არა გალვანურ ელემენტზე და ენერგიის მიღების ალტერნატიულ გზებზე ქიმიური მოვლენების საშუალებით?

გალვანური ელემენტი (ქიმია-ფიზიკა)



ნახევარელემენტები
$Zn(s) \longrightarrow Zn^{2} +(aq)+2^{e-}$
$E^0cell = + 0.76V$

ნახევარელემენტები
$Cu^{2} +(aq)+2^{e} \longrightarrow Cu(s)$
$E^0cell = – 0.34V$

$E^0cell = + 1.10V$

ჩვენი პროექტი წარმოადგენს იაკობ-დანიელის გალვანური ელემენტის შექმნას, რომელსაც საფუძვლად უდევს ჟანგვა – აღდგენითი პროცესები და მუშაობის პრინციპი ემყარება თუთიის დაჟანგვასა და სპილენძის აღდგენას

ალესანდრო ვოლტა იყო პირველი მეცნიერი, ვინც ელექტროდენი აღმოაჩინა და გამოიკვლია. გალვანის ცდა დაეხმარა ვოლტას პირველი დენის წყაროს შექმნაში. ამ წყაროს „ვოლტას სვეტს“ უწოდებენ. ვოლტას სვეტი ქიმიური დენის წყაროების წარმომადგენელია.

ეს მოხდა 1800 წელს. ასე შეიქმნა პირველი ქიმიური დენის წყარო „ვოლტას სვეტი, რამაც ბიძგი მისცა სხვადასხვა ქიმიური დენის წყაროების შექმნას, რომლის ერთ – ერთი წარმომადგენელია იაკობ – დანიელის გალვანური ელემენტი.

გაგრძელება

3. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

შენი დავალება

- შექმნა გალვანური ელემენტი, რომლის საშუალებითაც მიიღებ ქიმიური დენის წყაროს;
- მიღებული ქიმიური დენის წყაროს დახმარებით აამუშავო სხვადასხვა მოწყობილობები და გამოიკვლიო შენ მიერ შედგენილი წრედის ვოლტ-ამპერული მახასიათებელი.

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- რა პრინციპით მუშაობს თქვენ მიერ აწყობილი გალვანური ელემენტი?
- როგორ გამოიყენებთ გალვანური ელემეტის მონაცემებს გარე წრედში დატვირთვის ჩასართავად?
- როგორ გამოიყენებთ ჟანგვა – აღდგენითი რეაქციების ცოდნას ყოველდღიურ საქმიანობაში?

საგანი

ქიმია მე-11 კლასი

გრძელვადიანი მიზანი:
სამიზნე ცნება: ნივთიერება; ფიზიკური და ქიმიური მოვლენები

თემა: ელექტროქიმია (ჟანგვა-აღდგენა)

საკითხთა მინიმუმი: ჟანგვა-აღდგენის რეაქციები; მეტალთა ელექტროქიმიური ძაბვის მწკრივი და სტანდარტული ელექტროდური პოტენციალი; ელექტრული დენის ქიმიური წყაროები;

საგანი

ფიზიკა მე-10 კლასი

გრძელვადიანი მიზანი – სამიზნე ცნება – მატერია; ენერგია; ფიზიკური პროცესი

თემა: მუდმივი დენის კანონები

საკითხთა მინიმუმი: ელექტრული დენი და გამტარის წინაღობა; ომის კანონი წრედის უბნისათვის; გამტარების მიმდევრობით და პარალელურად შეერთება; დენის მუშაობა და სიმძლავრე; დენის წყაროს ემ ძალა. ელექტრული დენი სხვადასხვა გარემოში.

გაგრძელება

3. STEAM პროექტი

გალვანური ელემენტი
(ქიმია-ფიზიკა)

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	ორგანული მინა, 10 მმ, 0.25 მ2	
2.	თუთიის ფირფიტა 0.5 მმX10 მმX 200 მმ	
3.	სპილენძის ფირფიტა 0.5 მმX10 მმX 200 მმ	
4.	ძრავი ბორბალით AR096 70MM RUBBER TIRES + MOT	1 ცალი
5.	ნათურა LL01 1.5V 75 MA 4X14 MM	1 ცალი
6.	ნათურა LL02 1.5V 80 MA 5X16 MM	1 ცალი
7.	ღილაკი 433 B BUTTON SWITCH 1208YD	2 ცალი
8.	მინის მილი D=5 მმ, L=30 სმ	1 ცალი
9.	სპილენძის სულფატი	50 გ
10.	თუთიის სულფატი	50 გ
11.	კალიუმის ქლორიდი	20 გ
12.	სილიკონის წებო (ჰერმეტიკი)	

დამხმარე რესურსები



თეორიული მასალა:

4. STEAM პროექტი

გარე განათების სისტემა

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ გამოვიყენოთ სინათლის დღე-ღამური ცვლილება

პარკის/სმარტ სურათის გარე განათების სისტმის ავტომატური მართვისათვის.

იცით თუ არა,

შებინდებისას გარე განათების ლამპიონები ინთება, ხოლო დილით კი ქრება. როგორ ფიქრობ, მისი ჩართვა-გამორთვა დაკავშირებულია ფიქსირებულ დროსთან, თუ სხვა რაიმე მოვლენა მართავს ამ პროცესს?

თუ კარგად დააკვირდები, შებინდების და გათენების დრო დამოკიდებულია სეზონურ ცვლილებასთან, ზახფულის შებინდების და გათენების დრო არ ემთხვევა ზამთარში შებინდება-გათენების დროს. როგორც ჩანს ჩართვა-გამორთვის ფიქსირებული დრო არ ყოფილა ამ სისტემის სამართავად მოსახერხებელი.

შენი დავალება

- შექმნა მინი პარკის მოდელი ან სმარტ სურათი, რომელშიც გამოყენებული იქნება განათების ავტომატური მართვა;
- თავად მოიფიქრო გზა, რას დაუმორჩილო გარე განათების სისტემის ჩართვა-გამორთვა;
- მოიფიქრო რომელი კომპონენტების გამოყენებით არის შესაძლებელი;
- სინათლის ინტენსიობის ცვლილების დაფიქსირება და სანათების ავტომატური ჩართვა-გამორთვა.

გაგრძელება

4. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

გარე განათების სისტემა

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- რა სტრატეგიები გამოიყენე შენს მიერ შექმნილი პარკის დასაგეგმარებლად?
- რომელი კომპონენტების გამოყენებით არის შესაძლებელი;
- სინათლის ინტენსიობის ცვლილების დაფიქსირება და სანათების ავტომატური ჩართვა-გამორთვა;
- როგორ გამოიყენე ელ.მაგნიტური რელეს/ტრანზისტორს მუშაობის პრინციპი სისტემის სამართავად?
- ფოტორეზისტორის რომელი ფიზიკური მახასიათებელი იცვლება განათებულობის ცვლილებისას და რითია გამოწვეული ეს ცვლილება?
- წინაღობის ცვლილება რომელ ფიზიკურ სიდიდეებს ცვლის ელ. წრედში და ეს ცვლილება როგორ გამოვიყენო ელ. რელეს/ტრანზისტორის ჩასართავად.

საგანი

ქიმია

გრძელვადიანი მიზანი, სამიზნე ცნება:

საკითხთა: ატომის აღნაგობა.

საგანი

ფიზიკა

გრძელვადიანი მიზანი, სამიზნე ცნება – მაცდენია; ფიზიკური პროცესი

ელექტრული დენი სხვადასხვა გარემოში. ნახევარგამტარები.

მუდმივი დენის კანონები. მიდევრობითი და პარალელური შეერთება

გაგრძელება

4. STEAM პროექტი

მატერიალური რესურსები

	გარე განათების სისტემა	ელ. კომპონენტები	
N	მატერიალური რესურსი	საზომი. ერთ	რაოდენობა
1.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	ცალი	1
2.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	ცალი	1
3.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 40PCS DUPONT WIRE 20CM M	ცალი	1
4.	ფოტორეზისტორი 582 B PHOTO RES. 5-10K	ცალი	2
5.	რეზისტორი R02 0.2V 220 R 0	ცალი	10
6.	რეზისტორი R02 0.2W 1 K 0	ცალი	10
7.	რეზისტორი R02 0.2W 10 K 0	ცალი	10
8.	ტრანზისტორი (409)	ცალი	1
9.	შუქდიოდი 620 LDXX-PW PURE-W. 3.2V 1.2W	ცალი	10
10.	შტეკერი 320 C DC 5.5 X 2.1MM SOCKET CABLE	ცალი	1
11.	ელემენტის ბუდე 112 BATT SOCKET 4 X AA 2+2	ცალი	1
12.	ელემენტის ბუდე 1013 BATT SOCKET 9V WITH PLUG	ცალი	1
13.	სამონტაჟო დაფა 094 A BREADBORD WB-102 MON.PL 830 PIN	ცალი	1

დამხმარე რესურსები

თეორიული მასალა:

1. ფოტორეზისტორი. საკითხავი მასალა ფოტორეზისტორი

   ფიზიკის დრო – ფოტოეფექტი, ფოტორეზისტორი, ელექტროტევადობა, დიელექტრიკის პოლარიზაცია
2. სიმულაცია ფოტორეზისტორი
3. ტრანზისტორი საკითხავი მასალა
4. ტრანზისტორი სიმულაცია
5. ელ. სქემა ტრანზისტორი

   ტრანზისტორი როგორც მარეგულირებადი ელემენტი
6. ინჟინერია სამაკეტო დაფაზე

5. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ შევქმნათ გრაფიტის ფორტეპიანო გრაფიტის ფიზიკური მახასიათებლების გათვალისწინებით?

იცით თუ არა,

ფურცელზე დახატულ ფორტეპიანოს კლავიშებით დავუკრათ მელოდია?

ალბათ ეს ძნელად დასაჯერებელია.

მნიშვნელოვანია, თუ რა მასალით დავხატავს კლავიშებს და როგორ გამოვარჩევთ ერთმანეთისაგან ისე რომ თითოეულმა კლავიშმა განსხვავებული ბგერა მოგვცეს.

გრაფიტის ფორტეპიანო

- გსმენიათ გრაფიტის შესახებ?

ის ფართოდ არის გავრცელებული ბუნებაში.

ჩვეულებრივი ფანქარს, რომელსაც ხშირად იყენებ გრაფიტის გული აქვს.

მას სხვა დანიშნულებაც მოუძებნა მეცნიერებამ: ის ერთერთი არამეტალია, რომელიც დენს ატარებს.

ის ფართოდ გამოიყენება დენის წყაროებში და სხვადასხვა ელექტრონულ მოწყობილებებში.

შენი დავალება

გამოიკვლიო გრაფიტის ფიზიკური მახასიათებლები და ამ კვლევებზე დაყრდნობით შექმნა გრაფიტის ფორტეპიანო და წარმოადგინო პრეზენტაციაზე.

გაგრძელება

5. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

გრაფიტის ფორტეპიანო

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- რატომ ატარებს გრაფიტი დენს?
- როგორ არის დამოკიდებული გამტარის წინაღობა მის გეომეტრიულ მახასიათებლებზე;
- როგორ შეიძლება გრაფიტის საშუალებით ჩავატაროთ ცდა და გამოვიკვლიოთ კონკრეტულად რა მახასიათებლებზე არის დამოკიდებული გამტარის წინაღობა;
- როგორ მოვახდინო ამ პროცესის ვიზუალიზაცია საზომი ხელსაწყოების და შუქდიოდის დახმარებით;
- როგორ გამოვიყენოთ მიღებული დასკვნები ფორტეპიანოს შესაქმნელად?

საგანი

ქიმია მე-10 კლასი

გრძელვადიანი მიზანი, სამიზნე ცნება –

საკითხები:

საგანი

ფიზიკა მე-10 კლასი

სამიზნე ცნება – მატერია, ფიზიკური პროცესები

საკითხები: გამტარის წინაღობა. წინაღობის დამოკიდებულება გამტარის გეომეტრიულ ზომებსა და ნივთიერებაზე; ომის კანონი.

საგანი

კომპიუტერული ტექნოლოგიები

საკითხები:

I. ალგორითმი და ალგორითმის შემუშავება;
II. პროგრამული ენა;
III. პროგრამის ქცევის პროგნოზირება.

გაგრძელება

5. STEAM პროექტი

გრაფიტის ფორტეპიანო

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	სამონტაჟო შემაერთებლები --SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	
2.	სამონტაჟო შემაერთებლები --SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
3.	სამონტაჟო შემაერთებლები --SH99 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
4.	რეზისტორი R02 0.2W 150 ომი	
5.	არდუინო	
6.	შტეკერი 320 C DC 5.5 X 2.1MM SOCKET CABLE	
7.	ელემენტის ბუდე 112 BATT SOCKET 4 X AA 2+2	
8.	ელემენტის ბუდე 1013 BATT SOCKET 9V WITH PLUG	
9.	სამაკეტო დაფა 4.6×3.4×0.8სმ (8515)	
10.	მუყაოს ქაღალდი	
11.	გრაფიტი ფანქარი m 8	
12.	მულტიმეტრი	
13.	შუქდიოდები	

დამხმარე რესურსები

1. **Phet.colorado:**
   1 Phet.colorado.edu 2 Phet.colorado.edu 3 Phet.colorado.edu
2. **www.geogebra:**
   1 www.geogebra.org 2 www.geogebra.org 3 www.geogebra.org
3. **10 კლ–U(x)** ძაბვის დამოკიდებულება ცოცხას მდებარეობაზე;
4. **გაკვეთილი N32:** გამტარის წინაღობა, კუთრი წინაღობა, მიმდევრობითი, პარალელური –
5. **გამტარის წინაღობა** ტელესკოლა – search
6. **ფიზიკის დრო** – წინაღობის დამოკიდებულება გამტარის თვისებებზე; ელექტრული დენის მოქმედება; ელექტრული დენი ელექტროლიტებში; ომის კანონი ტელესკოლა – 1TV.

6. STEAM პროექტი

კუთხის და დახრილობის სენსორის შექმნა და გამოყენება

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ შევქმნათ მიღებულ ცოდნაზე და ტექნოლოგიებზე დაყრდნობით ციფრული საზომი ხელსაწყო, რომელსაც გამოვიყენებთ დახრილი სიბრტყის კუთხის გასაზომად და სხვადასხვა მოწყობილობების შესაბამისი პარამეტრების დასადგენად

იცით თუ არა,

გარდამქნელები, რომელსაც ხშირად სენსორებს ვუწოდებთ სხვადასხვა ფიზიკურ პროცესს ელექტრონულ სიგნალად გარდაქმნიან.

მიღებული სიგნალის დამუშავების და ანალიზის შედეგად კი შეგვიძლია სენსორების საშუალებით ვმართოთ სხვადასხვა მოწყობილობები ან ეს სენსორები გამოვიყენოთ სხვადასხვა ექსპერიმენტებში.



- იმისათვის, რომ ამ სენსორებით მიღებული ინფორმაცია ავტომატურად დამუშავდეს, უნდა შევძლოთ მისი მახასიათებლების ანალიზი და გრაფიკული ვიზუალიზაცია.

დახრილი სიბრტყის დახრილობის კუთხე შეიძლება რამოდენიმე ხერხსით გავზომოთ: ტრანსპორტირით, მათემატიკური გამოანგარიშებით და სხვ.

გაზომვით მიღებული კუთხის მნიშვნელობის ციფრულ ფორმატში გადატანა, საკმაოდ საინტერესო ამოცანის წინაშე გვაყენებს.

დაფიქრებულხარ? როგორ არის შესაძლებელი, რომ მექანიკურ მოვლენებში მიმდინარე პროცესებიდან მონაცემები აიღო, გააციფრულო და ეკრანზე გამოსახო რათა შეძლო მისი შემდგომი ანალიზი.

შენი დავალება

მბრუნავი პოტენციომეტრის გამოყენებით შექმნა მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს კუთხის ცვლილების ელ. სიგნალად გარდაქმნას და შესაბამისად ძაბვის ცვლილების დაფიქსირებას. პროგრამული კოდის საშუალებით უნდა დაამუშავო ძაბვის ცვლილებისას მიღებულ მონაცემები და შეძლო მის ანალიზი.

გაგრძელება

6. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

კუთხის და დახრილობის სენსორის შექმნა და გამოყენება

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- რატომ ბრუნდება პოტენციომეტრი კუთხის ცვლილებისას?
- რა მონაცემები იცვლება პოტენციომეტრის დენის წყაროსთან მიერთების შემდეგ მცოცავი კონტაქტის გადაადგილებით.
- როგორ დავადგინოთ პროგრამის საშუალებით მიღებული ძაბვის ცვლილებით შესაბამისი მობრუნების კუთხე.

საგანი

ფიზიკა მე-10 კლასი, მე-9 კლასი

სამიზნე ცნება – მატერია, ძალა

თემა: მუდმივი დენის კანონები
თემა: სტატიკა და დინამიკა

საკითხები: დენის ძალა, ძაბვა, წინაღობა, ომის კანონი წრედის უბნისათვის. შეერთების სხვადასხვა სახეები.
მოძრაობა დახრილ სიბრტყეზე.

საგანი

მათემატიკა

საკითხები: ტრიგონომეტრია

გაგრძელება

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	სამონტაჟო შემაერთებლები --SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	
2.	სამონტაჟო შემაერთებლები --SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
3.	სამონტაჟო შემაერთებლები --SH99 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
4.	რეზისტორი R02 0.2W 1 ომი, 2 ომი 5 ომი 10 ომი	
5.	შტეკერი 320 C DC 5.5 X 2.1MM SOCKET CABLE	
6.	ელემენტის ბუდე 112 BATT SOCKET 4 X AA 2+2	
7.	ელემენტის ბუდე 1013 BATT SOCKET 9V WITH PLUG	
8.	სამაკეტო დაფა 4.6×3.4×0.8სმ (8515)	
9.	არდუინო ნანო ან მინი	
10.	ციფრული ინდიკატორი თხევადკრისტალური ეკრანი LCD RC1602A 80.0X36.0MM	
11.	ცვლადი წინაღობა (1215)	
12.	ფანერი დახრილი სიბრტყის დასამზადებლად	

დამხმარე რესურსები

1. **Phet.colorado:**
   1 Phet.colorado.edu 2 Phet.colorado.edu 3 Phet.colorado.edu
   4 Phet.colorado.edu 5 Phet.colorado.edu 6 Phet.colorado.edu
   7 Phet.colorado.edu
2. **Geogebra.org:**
   1 www.geogebra.org 2 www.geogebra.org 3 www.geogebra.org
   4 www.geogebra.org 5 www.geogebra.org 6 www.geogebra.org
   7 www.geogebra.org 8 www.geogebra.org 9 www.geogebra.org
   10 www.geogebra.org
3. **ck12.org:** interactives.ck12.org

7. STEAM პროექტი

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ვოლტმეტრის“ შექმნა

ასეთი ხელსაწყოები შექმნილია სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერების კანონზომიერებზე დაყრდნობით, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიებმა ციფრული ფორმატი შეუსაბამა და ამ სიდიდეების აღქმა გააადვილა.

შენი დავალება

შექმნა საზომი ხელსაწყო **ვოლტრმეტრი** შენი სკოლის ფიზიკის ლაბორატორიისათვის, რომელსაც გამოიყენებ მუდმივი დენის კანონების კვლევაში.

მის შექმნაში შენ დაგეხმარება ელექტროდინამიკაში მიღებული ცოდნა, ხოლო მიკროკონტროლერ Arduino-ს დახმარებით და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნით შეძლებ მონაცემის წაკითხვას, დამუსავებას და ვიზუალიზაციას.

შექმნის პროცესში კი რაციონალურად გამოიყენებ შენს ცოდნასა და უნარებს.

რეზისტორები



მიკროპროცესორი არდუინო

LCD მონიტორი

გაგრძელება

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ შექმნათ ციფრული საზომი ხელსაწყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის რომელსაც გამოიყენებთ წრედების გამოკვლევის დროს.

იცით თუ არა,

ჩვენს გარშემო უამრავი ციფრული ტაბლოა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას, დროის, ტემპერატურის, წნევის, სიჩქარის, მანძილის, მოხმარებულ ელექტო ენერგიის, სიმძლავრის, მასის, ძალის და კიდევ უამრავი სიდიდის შესახებ. ეს ხელსაწყოები საკმაოდ დიდი სიზუსტით მუშაობენ და ძალიან გვიმარტივებენ ყოველდღიურობას.

ჩვენ გარშემო ვხვდებით ციფრულ ტექნოლოგიებს

7. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ვოლტმეტრის“ შექმნა

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- ნივთიერების რომელ ფიზიკურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული გამტარის წინაღობა?
- რა კანონზომიერებები არსებობს მიმდევრობით და პარალელურად შეერთების შემთხვევაში ძაბვებისა და დენის ძალების განაწილების შესახებ.
- როგორ გამოვიყენოთ დენის ძალის დამოკიდებულება ძაბვასა და წინაღობაზე, ხელსაწყოს შექმნისას?
- როგორ ირთვება ამპერმეტრი და ვოლტმეტრი წრედში და შესაბამისად როგორი უნდა იყოს იმ უბნების წინაღობებთან შედარებით, რომლებთანაც ამ ხელსაწყოებს ვრთავთ?
- რა დადებითი მხარე აქვს ციფრულ საზომ ხელსაწყოებს ისრიანი ხელსაწყოსგან განსხვავებით?

საგანი

ფიზიკა მე-10 კლასი

სამიზნე ცნება: ფიზიკური პროცესი

საკითხები: ომის კანონები
მიმდევრობითი და პარალელური შეერთება, ომის კანონი წრედის უბნისათვის.

საგანი

კომპიუტერული ტექნოლოგიები

საკითხები:

ალგორითმის დანიშნულების გააზრება და ალგორითმის დამოუკიდებლად შემუშავება, პროგრამირების ელემენტების (ციკლები, ოპერატორები...) მიზნობრივად გამოყენება პროგრამირების გარემოში, სხვადასხვა პროგრამების შექმნა.

გაგრძელება

7. STEAM პროექტი

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ვოლტმეტრის“ შექმნა

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	
2.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
3.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
4.	რეზისტორი R02 0.2W 100 K 0	
5.	რეზისტორი R02 0.2W 500 K 0	
6.	შტეკერი 320 C DC 5.5 X 2.1MM SOCKET CABLE	
7.	ელემენტის ბუდე 112 BATT SOCKET 4 X AA 2+2	
8.	ელემენტის ბუდე 1013 BATT SOCKET 9V WITH PLUG	
9.	სამაკეტო დაფა 4.6×3.4×0.8სმ (8515)	
10.	არდუინო უნო	
11.	ციფრული ინდიკატორი თხევადკრისტალური ეკრანი LCD RC1602A 80.0X36.0MM	

დამხმარე რესურსები

1. **physics.bu.edu:** physics.bu.edu
2. **schoolphysics.co.uk** physics.bu.edu
3. **Phet.colorado:**
   1 Phet.colorado.edu 2 Phet.colorado.edu
4. **Geogebra.org:**
   1 www.geogebra.org 2 www.geogebra.org 3 www.geogebra.org
   4 www.geogebra.org 5 www.geogebra.org

8. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ შევქმნა თვალის მიერ ფერების აღქმის მექანიზმის ამსახველი მოდელი ფოტორეზისტორის გამოყენებით.

იცით თუ არა,

თვალის ბადურაზე განლაგებულია სინათლისადმი მგრძნობიარე ფოტორეცეპტორები:

ჩხირები და კოლბები.

ადამიანის თვალში დაახლოებით 6-7 მილიონი კოლბა და 110-125 მილიონი ჩხირია.

კოლბები პასუხისმგებელია ფერების აღქმაზე კარგი განათების პირობებში, მას **დღის მხედველობა** ჰქვია.

ჩხირების მეშვეობით კი ადამიანი გამოსახულებას დაბალი განათების ფონზეც არჩევს და აღიქვამს შავთეთრად. მას **ღამის მხედველობას** უწოდებენ.



თვალის მიერ ფერების აღქმა

მხედველობის პიგმენტი არის ცილა – **როდოპსინი**, რომელიც ფუნქციონირებისთვის საჭიროებს ორგანიზმში A ვიტამინის არსებობას.



კოლბები 3 ჯგუფად იყოფა

წითელ ფერზე მორეაგირე კოლბები – ეს კოლბები რეაგირებენ სინათლის გრძელი ტალღის სიგრძეზე, რომელიც გააჩნია წითელ ფერს.

მწვანე ფერზე მორეაგირე კოლბები – ეს კოლბები რეაგირებენ სინათლის საშუალო ტალღის სიგრძეზე, რომელიც გააჩნია მწვანე ფერს .

ლურჯ ფერზე მორეაგირე კოლბები – ეს კოლბები რეაგირებენ სინათლის მოკლე ტალღის სიგრძეზე, რომელიც გააჩნია ლურჯ ფერს .

წითელი, ლურჯი და **მწვანე** ფერის მიმართ მგრძნობიარე რეცეპტორების ერთდროული აღზგნებით თეთრი ფერი აღიქმება.



გაგრძელება

8. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

თვალის მიერ ფერების აღქმა

შენი დავალება

- თვალის მარტივი მოდელის შექმნა მისი ცალკეული კომპონენტების ფუნქციის ასახსნელად კომპიუტერულ ტექნოლოგიების (ფოტორეზისტორების და პროგრამული კოდის) გამოყენებით.
- მხედველობის ანალიზატორის ამსახველი მოდელის შექმნა პროგრამა **geogebra**-ს გამოყენებით, რომლითაც შეძლებ ფერების მიღებას ძირითადი ფერების პროპორციული შერევით.
- მხედველობის ორგანოს შესწავლა დაგეხმარება მხედველობის რეცეპტორების და მხედველობის ანალიზატორის მოქმედების მექანიზმის ახსნაში.
- ვირტუალური სიმულაცია დაგეხმარება თვალის მიერ ფერების აღქმის მექანიზმის დასაბუთებაში.

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- როგორ არის აგებული ადამიანის თვალი და რა როლი აქვს მის თითოეულ სტრუქტურას საგნებისა და ფერების აღქმაში;
- როგორ ხდება ადამიანის მიერ გამოსახულების საბოლოო აღქმა;
- როგორ გამოიყენე ფოტოეფექტის მოვლენა სინათლის ინტენსივობის დასადგენად, შემდგომში სხვადასხვა ფერის გამოსარჩევად და თითოეული ფერის ინტენსივობის დასადგენად;
- როგორ შეუსაბამე სინათლის ფერის ინტენსივობა ელ. სიგნალის (ძაბვის ცვლილებას);
- როგორ გამოიყენე პროგრამული მხარდაჭერა თვალის მიერ ფერების აღქმის მექანიზმის ასახსნელად;
- რით განსხვავდება შენს მიერ შექმნილი მოდელი ნამდვილი თვალისგან.

გაგრძელება

8. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

თვალის მიერ ფერების აღქმა

საგანი

ფიზიკა მე-10 კლასი (ომის კანონი)

მე-11(ოპტიკა) საკითხები:

სამიზნე ცნება – მატერია, ფიზიკური პროცესები

საკითხები: ომის კანონი; სინათლის წრფივი გავრცელება; ნახევარგამტარები; ფოტორეზისტორი.

საგანი

ბიოლოგია მე-9 კლასი

სამიზნე ცნება – სტრუქტურა და ფუნქცია; ჯანმრთელობა და დაავადება

საკითხები:

I. მხედველობის ორგანოს აგებულება და მნიშვნელობა;
II. მხედველობის რეცეპტორები.

საგანი

კომპიუტერული ტექნოლოგიები

საკითხები:

I. ალგორითმი და ალგორითმის შემუშავება;
II. პროგრამული ენა;
III. პროგრამის ქცევის პროგნოზირება.

გაგრძელება

თვალის მიერ ფერების აღქმა

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	1
2.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	1
3.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 40PCS DUPONT WIRE 20CM M	1
4.	ფოტორეზისტორი 582 B PHOTO RES. 5-10K	3
5.	რეზისტორი R02 0.2V 220 R 0	3
6.	რეზისტორი R02 0.2W 1 K 0	3
7.	რეზისტორი R02 0.2W 10 K 0	3
8.	თვალის მოდელი	1
9.	Arduino uno	1
10.	სამონტაჟო დაფა ცელულოიდის გამჭვირვალე ფირფიტა ან ფერადი გამჭვირვალე ფილტრები	1

დამხმარე რესურსები



ბიოლოგიაში ტელესკოლის გაკვეთილები:

1. **გრძნობათა ორგანოები:** –
2. თვალი – ოპტიკური სისტემა, ფერების ამომცნობი რობოტი
3. **საპრეზენტაციო მასალა** – თვალის აგებულება;
4. მხედველობა (ავტორი ბიოლოგიის ექსპერტი და პედაგოგი ნინო ჭიჭინაძე)
5. **საინფორმაციო ტექსტი** – თვალის აგებულება
6. **საინფორმაციო ტექსტი** – როგორ ვარჩევთ ფერებს.

გაგრძელება

თვალის მიერ ფერების აღქმა

დამხმარე რესურსები

ფიზიკაში ტელესკოლის გაკვეთილები:

1. **ფიზიკის დრო** – სინათლის არეკვლის კანონები, არეკვლის კანონზე მომუშავე რობოტები –
2. **სხივის გარდატეხა და სნელის კანონი** (ვიდეო) | ხანის აკადემია
3. **სარკისებრი და გამბნევი ანარეკლი** –
4. **ფიზიკის დრო** – ოპტიკური მოვლენები: სხივი, ტალღა და სარკე ტელესკოლა – 1TV
5. **ფიზიკის დრო** – ფოტოეფექტი, ფოტორეზისტორი, ელექტროტევადობა, დიელექტრიკის პოლარიზაცია –
6. **რა არის ნახევარგამტარი?** – განმარტება და ისტორია
7. **ნახევრად გამტარები** – ვიკიპედია
8. **რა არის ნახევარგამტარი ფიზიკაში.** ნახევარგამტარული ტრანზისტორების სახეები
9. **ნახევარგამტარი. სიმულაცია** – ნახევარგამტარი სილიციუმი

   1 www.vascak.cz 2 www.vascak.cz 3 www.vascak.cz

   4 www.vascak.cz
10. **ნახევარგამტარი –** ვირტუალური ლაბორატორიის ვიდეოგაიდის ლინკი
11. ფოტორეზისტორი
12. **სიმულაცია** ფოტორეზისტორი

9. STEAM პროექტი

მეტეოსადგური

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ შევქმნა მეტეოსადგურის მოდელი სენსორების და ელ კომპონენტების გამოყენებით. როგორ გავაანალიზოთ მიღებული შედეგები და როგორ გამოვიტანოთ ინფორმაცია ეკრანზე?

იცით თუ არა,

მეტეოსადგურის დანიშნულება, როგორც ამინდის პროგნოზი ასევე მიმდინერე ამინდის მონიტორინგია.

რა არის ამინდის ის ძირითადი მახასიათებლები, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით და გვაინტერესებს.

რომელი მახასიათებლები განსაზღვრავენ ამინდს?

ამინდის მახასიათებლები არიან ტემპერატურა, ტენიანობა, ქარის სიჩქარე, წნევა. თანამედროდროვე მეტეოსადგურები ამ მონაცემებს ავტომატურ რეჟიმში გვაწვდიან.

შენი დავალება

შექმნა მეტეოსადგური საკუთარი სკოლისათვის, რომლის საშუალებითაც მუდმივ რეჟიმში დააკვირდები ამინდს, შენი შექმნილი ხელსაწყოთი მოიპოვებ ინფორმაციას ამინდის ძირითადი მახასიათებლების შესახებ და ამ ინფორმაციას განათავსებ როგორც სკოლის საინფორმაციო მონიტორზე ასევე არსებობის შემთხვევაში სკოლის ვებ გვერდზე.

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- რა ფიზიკური მოვლენებია გამოყენებული ტემპერატურის და ტენიანობის სენსორებში;
- რა ტიპის მონაცემები არსებობს და როგორ ხდება ამ მონაცემების მიღება დამუშავება შენახვა, გარდაქმნა;
- როგორ განსაზღვრე ქარის სიჩქარე?
- როგორ მიიღე და დაამუშავე ინფორმაცია?
- როგორ მოახერხე სხვადასხვა სენსორიდან მიღებული ინფორმაციის ვიზუალიზაცია?

საგანი

ფიზიკა მე-8 კლასი, მე-10 კლასი

სამიზნე ცნება ფიზიკური პროცესი, ძაღა

საკითხები: სითბური მოვლენები, ატმოსფერული წნევა,მუდმივი დენის კანონები
მიმდევრობითი და პარალელური
შეერთება, ომის კანონი წრედის უბნისათვის.

გაგრძელება

9. STEAM პროექტი

გრაფიტის ფორტეპიანო

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საგანი

კომპიუტერული ტექნოლოგიები

საკითხები:

I. ალგორითმის დანიშნულების გააზრება და ალგორითმის დამოუკიდებლად შემუშავება,

II. პროგრამირების ელემენტების (ციკლები, ოპერატორები...) მიზნობრივად გამოყენება პროგრამირების გარემოში, სხვადასხვა პროგ-რამების შექმნა.

გაგრძელება

9. STEAM პროექტი

მეტეოსადგური

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	ინტელექტუალური ბარათი არდუინო უნო	
2.	ადაპტერი 12V 2A (ძაბვის რეგულირებით) (54663)	
3.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F 1 ცალი	
4.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M 1 ცალი	
5.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 0PCS DUPONT WIRE	
6.	წნევის სენსორი – (8871)	
7.	შტეკერი DC 5.5 X 2.1-2.5MM (3934)	
8.	ტემპერატურა/ტენიანობის სენსორი DHT22 (44162)	
9.	ციფრული ინდიკატორი თხევადკრისტალური ეკრანი LCD RC1602A 80.0X36.0MM	
10.	DC ძრავი (642)	

დამხმარე რესურსები

1. **Geogebra.org:** www.geogebra.org – წონა
   1 www.geogebra.org 2 www.geogebra.org 3 www.geogebra.org
   4 www.geogebra.org 5 www.geogebra.org
2. physics.bu.edu physics.bu.edu
3. **ck12.org:**
   1 interactives.ck12.org 2 interactives.ck12.org 3 interactives.ck12.org
4. **Phet.colorado:** Phet.colorado.edu

10. STEAM პროექტი

გეომეტრიული სივრცული ფიგურების და ნებისმიერი ფორმის სხეულების მოცულობის დადგენა

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ გამოვიყენოთ წყლის მასასა და მის მოცულობას შორის კავშირი ნებისმიერი ფორმის სხეულის მოცულობის დასადგენად და როგორ შევქმნა ინოვაციური მოწყობილობა, რომელიც გაზომვის დროს მიღებულ მონაცემებს ავტომატურ რეჟიმში დაამუშავებს და შეძლებს მის ვიზუალიზაციას.

იცით თუ არა,

გეომეტრიული სივრცითი სხეულების მოცულობის დადგენა არა მხოლოდ მათემატიკურად შეგვიძლია არამედ ფიზიკური ექსპერიმენტის საშუალებითაც.



არასტანდარტული სხეულების მოცულობის დადგენა მხოლოდ მათემატიკური გამოთვლებით ვერ ხერხდება. თუმცა ასეთი სხეულების მოცულობის დასადგენად არსებობს მეთოდი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში არქიმედემ აღმოაჩინა.

შენი დავალება

შექმნა საზომი ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც შეძლებ დაასაბუთო არქიმედეს კანონის სამართლიანობა და დაადგინო სხვადასხვა სხეულის მოცულობა ექსპერიმენტულად, შემდეგ კი შეადარო მიღებული შედეგები მათემატიკურ გამოთვლებს. მის შექმნაში შენ დაგეხმარება ელექტროდინამიკაში მიღებული ცოდნა, ხოლო მიკროკონტროლერ Arduino-ს დახმარებით და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნით შეძლებ მონაცემის წაკითხვას, დამუშავებას და ვიზუალიზაციას.

შექმნილი ხელსაწყოთი საინტერესო და ეფექტური ფორმით გააკეთებ მეცნიერული ინოვაციების დემონსტრირებას, ხოლო შექმნის პროცესში რაციონალურად გამოიყენებ შენს ცოდნასა და უნარებს.

გაგრძელება

გეომეტრიული სივრცული ფიგურების და ნებისმიერი ფორმის სხეულების მოცულობის დადგენა

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- რა კავშირია წყლის მასასა და მის მოცულობას შორის?
- რაზეა დამოკიდებული ამომგდები ძალა და სხეულის წყალში ცურვის პირობები?
- როგორ გამოგვადგება ცუფრული დინამომეტრი არასტანდარტული ფორმის მქონე მყარი სხეულის მოცულობის განსაზღვრაში?

საგანი

ფიზიკა მე-7 კლასი, მე-10 კლასი

სამიზნე ცნება – ძალა; ფიზიკური პროცესი

საკითხები: მოცულობა, სიმძიმის ძალა, წონა, სიმკვრივე, მიმდევრობითი და პარალელური შეერთება, ომის კანონი წრედის უბნისათვის.

საგანი

მათემატიკა

საკითხები: სივრცული ფიგურები მოცულობა

საგანი

კომპიუტერული ტექნოლოგიები

საკითხები:

I. ალგორითმის დანიშნულების გააზრება და ალგორითმის დამოუკიდებლად შემუშავება

II. პროგრამირების ელემენტების (ციკლები, ოპერატორები...) მიზნობრივად გამოყენება პროგრამირების გარემოში, სხვადასხვა პროგრამების შექმნა.

გაგრძელება

10. STEAM პროექტი

გეომეტრიული სივრცული ფიგურების და ნებისმიერი ფორმის სხეულების მოცულობის დადგენა

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	
2.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
3.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
4.	რეზისტორი R02 0.2W 100 K 0	
5.	რეზისტორი R02 0.2W 500 K 0	
6.	შტეკერი 320 C DC 5.5 X 2.1MM SOCKET CABLE	
7.	ელემენტის ბუდე 112 BATT SOCKET 4 X AA 2+2	
8.	ელემენტის ბუდე 1013 BATT SOCKET 9V WITH PLUG	
9.	სამაკეტო დაფა 4.6×3.4×0.8სმ (8515)	
10.	არდუინო უნო	
11.	ციფრული ინდიკატორი თხევადკრისტალური ეკრანი LCD RC1602A 80.0X36.0MM	
12.	დატვირთვის სენსორი+მოდული 10kg (39821) 2 ცალი	
13.	ადაპტერი 9 ვოლტიანი	

დამხმარე რესურსები

1. **Geogebra.org:** www.geogebra.org – წონა
   1 www.geogebra.org 2 www.geogebra.org 3 www.geogebra.org
   4 www.geogebra.org
2. **physics.bu.edu:** www.Physics.bu.edu
3. **schoolphysics:** www.schoolphysics.co.uk
4. **Phet.colorado:** Phet.colorado.edu
5. **ck12.org:** interactives.ck12.org interactives.ck12.org interactives.ck12.org

გაგრძელება

10. STEAM პროექტი

გეომეტრიული სივრცული ფიგურების და ნებისმიერი ფორმის სხეულების მოცულობის დადგენა

დამხმარე რესურსები

1. **მათემატიკა, აბიტურიენტის დრო** – პრიზმისა და ცილინდრის მოცულობა ტელე-სკოლა –
2. **მოცულობა** ტელესკოლა **ფიზიკა** – search
3. **(27) სხეულის წონა** –
4. **Phet.colorado:** Phet.colorado.edu
5. **ფიზიკის დრო** – პირველი კოსმოსური სიჩქარე/დრეკადობის ძალა/სხეულის წონა, 4 მაისი, 2020, ტელესკოლა – 1TV ფიზიკის დრო

11. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ ავხსნა თვალის მოდელის გამოყენებით:

ა. სინათლის სხივის გარდატეხის კუთხის დამოკიდებულება ბროლის (ლინზის) ამოზნექილობის ცვლილებაზე;

ბ. **მხედველობის დარღვევები:** შორსმხედველობა და ახლომხედველობა.

იცით თუ არა,

როგორც ამბობენ, „თვალი სამყაროს თავდაყირა აღიქვამს, მაგრამ ტვინმა ისწავლა მისი ნორმალურად დანახვა“.

საგნიდან არეკლილი სინათლის სხივი მიმართულებას იცვლის-რქოვანაში, ბროლში გავლისას გარდატყდება და ბადურაზე 180°-ით ამობრუნებული და შემცირებული გამოსახულება ფოკუსირდება.

ეს „შეცდომა“ ტვინში სწორდება და ჩვენ საგანს ისეთს ვხედავთ, როგორიც არის.

მხედველობის დარღვევები

აკომოდაცია თვალის უნარია, დაინახოს და გაარჩიოს სხვადასხვა მანძილით დაშორებული საგნები, რაც ბროლის სიმრუდის ცვლილების მეშვეობით ხორციელდება.

გამჭვირვალე სტრუქტურას – **ბროლს** თვალში შეჭრილი სხივების გარდატეხა ევალება, რომ ისინი ბადურაზე მოხვდნენ.



შენი დავალება

- სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამის საშუალებით შექმნა თვალის, როგორც **ოპტიკური ხელსაწყოს** მოდელი, დააკვირდე როგორ არის დამოკიდებული ლინზის ამოზნექილობის ცვლილებაზე სხივის გარდატეხის კუთხის ცვლილება და გამოსახულების წარმოქმნა (აკომოდაცია).
- მხედველობის ორგანოს შესწავლის საფუძველზე ახსნა შორსმხედველობის და ახლომხედველობის გამომწვევი მიზეზები და სათვალის სწორად შერჩევის გზები.

გაგრძელება

11. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

მხედველობის დარღვევები

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- როგორია მხედველობის ორგანოს აგებულების თავისებურება და როგორ განაპირობებს თითოეული ნაწილის სპეციფიკური ფუნქცია ანალიზატორის მთლიანობას;
- როგორ ახსნი რატომ წარმოიქმნება შორსმხედველობის/ახლომხედველობისას გამოსახულება ბადურის უკან/წინ;
- როგორ გამოიყენე ოპტიკური ხელსაწყოები და კომპიუტერული ტექნოლოგიები თვალის მიერ აკომოდაციის მექანიზმის ასახსნელად;
- როგორ არის დამოკიდებული ფოკუსური მანძილი ლინზის სიმრუდეზე;
- რა სიდიდეებზეა დამოკიდებული ლინზაში სხივთა სვლით მიღებული გამოსახულების ფორმა, ზომა, მიმართულება;
- რით განსხვავდება შენს მიერ შექმნილი მოდელი ნამდვილი თვალისგან;
- როგორ არის შესაძლებელი მედიცინის თანამედროვე მიღწევებით მხედველობის კორექცია.

საგანი

ფიზიკა მე-11 კლასი

სამიზნე ცნება – ფიზიკური პროცესი

საკითხები: სინათლის წრფივი გავრცელება; არეკვლა და გარდატეხა; ლინზები.

გაგრძელება

11. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

მხედველობის დარღვევები

საგანი

ბიოლოგია მე-9 კლასი

სამიზნე ცნება – სტრუქტურა და ფუნქცია; ჯანმრთელობა და დაავადება

საკითხები:

I. მხედველობის ორგანოს აგებულება და მნიშვნელობა;
II. მხედველობის ანალიზატორი;
III. მხედველობის დარღვევები;
IV. დაავადებები, პრევენცია და ჰიგიენა.

საგანი

კომპიუტერული ტექნოლოგიები

საკითხები:

I. ალგორითმი და ალგორითმის შემუშავება;
II. პროგრამული ენა;
III. პროგრამის ქცევის პროგნოზირება.

დამხმარე რესურსები

ბიოლოგიაში:

1. **ტელესკოლის გაკვეთილები:** გრძნობათა ორგანოები –
2. **საპრეზენტაციო მასალა** – თვალის აგებულება
3. **ვიდეო რგოლი:** მხედველობა (ავტორი ბიოლოგიის ექსპერტი და პედაგოგი ნინო ჭიჭინაძე)
4. **ინფორმაციები:** თვალის აგებულება

   მხედველობის დარღვევები ლინზები

ბიოლოგიაში:

12. STEAM პროექტი

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ომმეტრი“-ის შექმნა

ომმეტრი შექმნილია სხავადასხვა ფიზიკის კანონებზე დაყრდნობით. თანამედროვე ტექნოლოგიებმა მას ციფრული ფორმატი შეუსაბამა და გასაზომი სიდიდეების აღქმა გააადვილა.

შენი დავალება

შექმნა ციფრული საზომი ხელსაწყო **ომმეტრი** შენი სკოლის ფიზიკის ლაბორატორიისათვის, რომელსაც გამოიყენებ ელექტრული წრედების აწყობისას წრედში ჩართული კომპონენტების (ნათურა, ძრავი, ტერმორეზისტორი) უცნობი წინაღობის დასადგენად.

მის შექმნაში შენ დაგეხმარება ელექტროდინამიკაში მიღებული ცოდნა, ხოლო მიკროკონტროლერ Arduino-ს დახმარებით და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მიღებული ცოდნით შეძლებ მონაცემის წაკითხვას, დამუშავებას და ვიზუალიზაციას.

შექმნის პროცესში სიღრმისეულად გაიაზრებ იმ პროცესებს, რომელსაც სწავლო თეორიაში, რაციონალურად გამოიყენებ შენს ცოდნასა და უნარებს.

გაგრძელება

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ შევქმნათ ციფრული საზომი ხელსაწყო, რომელსაც გამოვიყენებთ სხვადასხვა კვლევაში და სხვადასხვა მოწყობილობების პარამეტრების დადგენაში.

იცით თუ არა,

ელ. წრედებთან სამუშაოდ ომმეტრი აუცილებელი ხელსაწყოა, მისი საშუალები ხდება არა მარტო კომპონენტების წინაღობის დადგენა, არამედ მისი საშუალებით შეგვიძლია წრედში არსებული დეფეტის აღმოჩენა.

ომმეტრით ასევე შესაძლებელია გარეშე მახასიათებლების ცვლილებით გამოწვეული წინაღობის ცვლილების კვლევა.

12. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ომმეტრი“-ის შექმნა

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- როგორ დაუკავშირე ომის კანონი ომეეტრის მუშაობის პრინცის და როგორ გამოიყენე იგი ოომეტრის პროგრამული კოდის ალგორითმის შესაქმნელად.
- როგორ დავადგინოთ ცნობილი წინაღობისა და ვოლტმეტრის საშუალებით უცნობი წინაღობის მნიშვნელობა
- როგორ მოვახერხოთ ომმეტრით გაზომილი წინაღობების (მონაცემების) ანალიზი და მათი ვიზუალიზაცია?

საგანი

ფიზიკა მე-10 კლასი

სამიზნე ცნება ძალა, ფიზიკური პროცესი

თემა: მუდმივი დენის კანონები

საკითხები: დენის ძალა, ძაბვა, წინაღობა, ომის კანონი წრედის უბნისათვის. შეერთების სხვადასხვა სახეები.

საგანი

კომპიუტერული ტექნოლოგიები

საკითხები:

I. ალგორითმის დანიშნულების გააზრება და ალგორითმის დამოუკიდებლად შემუშავება,

II. პროგრამირების ელემენტების (ციკლები, ოპერატორები...) მიზნობრივად გამოყენება პროგრამირების გარემოში, სხვადასხვა პროგრამების შექმნა.

12. STEAM პროექტი

ციფრული საზომი ხელსაწყოს – „ომმეტრი“-ის შექმნა

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
1.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	
2.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
3.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 40PCS DUPONT WIRE 20CM M	
4.	რეზისტორი R02 0.2W 100 ომი, 200 ომი 300 ომი, 500 ომი, 1კ ომი, 2კ ომი, 10 კ ომი, 20 კ ომი, 100 კ ომი.(თითოეული 10 ცალი)	
5.	შტეკერი 320 C DC 5.5 X 2.1MM SOCKET CABLE	
6.	ელემენტის ბუდე 112 BATT SOCKET 4 X AA 2+2	
7.	ელემენტის ბუდე 1013 BATT SOCKET 9V WITH PLUG	
8.	სამაკეტო დაფა 4.6×3.4×0.8სმ (8515)	
9.	არდუინო უნო	
10.	ციფრული ინდიკატორი თხევადკრისტალური ეკრანი LCD RC1602A 80.0X36.0MM	
11.	ფანერი დახრილი სიბრტყის დასამზადებლად	

დამხმარე რესურსები

1. **physics.bu.edu:** www.Physics.bu.edu
2. **schoolphysics:** www.schoolphysics.co.uk
3. **Phet.colorado:** Phet.colorado.edu Phet.colorado.edu
4. **Geogebra.org:**
   1 www.geogebra.org 2 www.geogebra.org 3 www.geogebra.org
   4 www.geogebra.org 5 www.geogebra.org

13. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ არის შესაძლებელი ელეტრო ენერგიის მიღება სითბური ენერგიის გარდაქმნით ?

იცით თუ არა,

როგორ არის შესაძლებელი ელექტროენერგიის მიღება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჩვენი ყოველდღიურობა? გსმენიათ თუ არა პელტიეს ელემენტზე და ენერგიის მიღების ალტერნატიულ გზებზე?

თერმოელექტრული გენერატორი; პელტიეს ელემენტი

ფრანგი მეცნიერი, **ჟან პელტიე** რომელიც სხვადასხვა მოვლენების შესწავლით იყო დაკავებული 13 წლის ასაკიდან, ერთ დღესაც აღმოაჩინა ელექტროენერგიის წარმოქმნის სხვა წყარო და შესაძლებლობა; მან გამოიგონა მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ელექტროენერგიის მიღება სითბური ენერგიისგან. მოგვიანებით, აღნიშნულ მოწყობილობას **პელტიეს ელემენტი** ეწოდა.

21-ე საუკუნეში განისაზღვა გლობალური გამოწვევები და მიზნები, რომლის მიღწევა აუცილებელია უკეთესი და მდგრადი მომავლისათვის; ერთ-ერთი მიზანი ეხება ხელმისაწვდომ და მდგრად ენერგიას. ჩვენი მიზანია, ვიზრუნოთ უკეთესი მომავლისთვის, ვიზრუნოთ ენერგიის ალტერნატიულ წყარეობზე, რათა მომავალში ენერგია იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, მოვიხმაროთ განახლებადი ენერგია, გაიზარდოს ენერგოეფექტურობა და განვითარდეს ტექნოლოგიები.

შენი დავალება

მოიძიო ინფორმაცია და გამოიკვლიო ენერგიის ალტერნატიული წყაროები:

- დაამზადო მოწყობილობა პერტიეს ელემენტის გამოყენებით,რომელის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ელ. ენერგიის მიღება;
- დაადგინო პერტიელ ელემენტით მიღებული ენერგიის სიმძლავრე;
- შეადარო პელტიეს ელემენტი, როგორც ენერგიის წყარო, სხვადასხვა ენერგიის მიღების წყაროებს და ისაურბო ხელმისაწვდომობაზე;
- დაადგინო როდის არის ეფექტური პელტიეს ელემენტის გამოყენება.

გაგრძელება

13. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

თერმოელექტრული გენერატორი; პელტიეს ელემენტი

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- იმსჯელე, რა როლს ასრულებს ენერგიის გარდაქმნაში ნახევარგამტარების ფიზიკური და ქიმიური თვისებები;
- იმსჯელე, როგორ შექმენი თერმოელექტრული გენერატორი ნახევარგამტარების და სითბური ენერგიის თვისებების გათვალისწინებით?
- მსჯელე, მოწყობილობის ფიზიკურ მახასიათებლებზე, ელ. ენერგიის მიღების სხვადასხვა გზებზე, უპირატესობებზე და გამოყენების მიზნობრიობაზე.

საგანი

ფიზიკა

სამიზნე ცნება ენერგია, მატერია

თემა: მუდმივი დენის კანონები, სითბური ენერგია.

საგანი

ქიმია

საკითხები: ატომის აღნაგობა

გაგრძელება

13. STEAM პროექტი

თერმოელექტრული გენერატორი; პელტიეს ელემენტი

მატერიალური რესურსები

N	მატერიალური რესურსი	რაოდენობა
	მოდელი 1.	
1.	პელტიეს ელემენტი TES1-12706.	1 ცალი
2.	რადიატორი (2392)	1 ცალი
3.	სანთელი; სასანთლე სახურავით.	
4.	სამაკეტო დაფა 4.6×3.4×0.8სმ (8515)	1 ცალი
5.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	1 ცალი
6.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	1 ცალი
7.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 0PCS DUPONT WIRE 20CM Mშუქდიოდი 620 LDXX-PW PURE-W. 3.2V 1.2W	1 ცალი
8.	მულტიმეტრი.	
	მოდელი 2.	
1.	პელტიეს ელემენტი TES1-12706.	1 ცალი
2.	ლითონის ორი ფირფიტა	
3.	შუქდიოდი 620 LDXX-PW PURE-W.	10 ცალი
4.	ორი ჭიქა სხვადასხვა ტემპერატურის წყლისათვის	
5.	მულტიმეტრი	
6.	სამაკეტო დაფა 4.6×3.4×0.8სმ (8515)	1 ცალი
7.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH97 40PCS DUPONT WIRE 20CM F	1 ცალი
8.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH98 40PCS DUPONT WIRE 20CM M	1 ცალი
9.	სამონტაჟო შემაერთებლები – SH99 0PCS DUPONT WIRE 20CM MM	1 ცალი
10.	შუქდიოდი 620 LDXX-PW PURE-W. 3.2V 1	

გაგრძელება

13. STEAM პროექტი

თერმოელექტრული გენერატორი; პელტიეს ელემენტი

დამხმარე რესურსები

ეღ. ენერგიის მილების მზები- საკითხავი მასალა:

1. **ენერგიის განახლებადი** [წყაროები]
2. **ენერგიის განახლებადი** [წყაროები (pdf)]
3. **ნახევარგამტარი.** საკითხავი მასალა
   - [რა არის ნახევარგამტარი? – განმარტება და ისტორია]
   - [ნახევრად გამტარები – ვიკიპედია]
   - [რა არის ნახევარგამტარი ფიზიკაში. ნახევარგამტარული ტრანზისტორების სახეები]
4. **ნახევარგამტარი. სიმულაცია** – [ნახევარგამტარი სილიციუმი]
   - 1 [www.vascak.cz] 2 [www.vascak.cz] 3 [www.vascak.cz]
   - 4 [www.vascak.cz]
5. **ნახევარგამტარი** – ვირტუალური ლაბორატორიის ვიდეოგაიდის [ლინკი]
6. **ფიზიკის დრო** – შიგაწვის ძრავა, ნახევარგამტარი, ცვლადი დენის გამმართველი – 12 ივნისი, 2020 ტელესკოლა –

14. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

საკვლევი კითხვა

როგორ შევქმნა პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბების ამსახველი მოდელი პროგრამირების, სენსორების და შემსრულებელი მექანიზმის გამოყენებით



იცით თუ არა,

***პირობითი რეფლექსების თეორიის** ავტორი არის ცნობილი ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი ივანე პავლოვი, რომელიც ექსპერიმენტებისთვის ძაღლის სანერწყვე ჯირკვალზე ფისტულის დადების მეთოდს იყენებდა.*

პირობითი რეფლექსების შესწავლამ ხელი შეუწყო სამედიცინო დარგების, მაგალითად, ნევროლოგიის, ფსიქიატრიის და ფიზიოლოგიის განვითარებას.

პირობითი რეფლექსების ეფექტი ფართოდ გამოიყენება ცხოვრებაში, მაგალითად, ცხოველების წრთვნის მიზნით, აგრეთვე რეკლამის მოქმედების პრინციპი სწორედ პირობითი რეფლექსების გამომუშავებას ეფუძნება.

პირობითი რეფლექსები

შენი დავალება

- შექმნა „პავლოვის ძაღლის“ მექანიკური მოდელი, რომლის მოქმედება ეფუძნება ფოტოეფექტის მოვლენას, სინათლის გავრცელების და არეკვლის კანონზომიერებებს. ამის საფუძველზე ინფორმაციის მიღება – დამუშავების და ანალიზისთვის გამოიყენო პროგრამირება;
- მოიფიქრო რომელი კომპონენტების გამოყენებით არის შესაძლებელი ძაღლის რეაქციების მართვა საკვების მიწოდების შესაბამისად მოძრავი მექანიზმის საშუალებით;
- ჩაატარო ექსპერიმენტები და ახსნა პირობითი რეფლექსის წარმოქმნის და განხორციელების მექანიზმი.

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- რა პირობებია აუცილებელი ნერწყვის გამოყოფის პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბებისათვის;
- რისგან შედგება ნერწყვის გამოყოფის პირობით რეფლექსური რკალი;
- როგორ შეესაბამება ნერწყვის გამოყოფის პირობითრეფლექსური რკალის სტრუქტურული ერთეულები მათ ფუნქციებს;
- რა როლი აქვს პირობით რეფლექსებს გარემოს ცვლად პირობებთან ადაპტაციაში;
- რა კავშირია პირობით და უპირობო რეფლექსებს შორის.
- რა იყო ექსპერიმენტის თითოეული ეტაპისთვის უპირობო, განურჩეველი და პირობითი გამღიზიანებელი;
- შენი მოდელის რომელი ნაწილი ემსახურება გარემოდან ინფორმაციის მიღება-დამუშავებას, რომელი ნაწილი ემსახურება პირობითი რეფლექსის იმიტაციას და რომელი წარმოადგენს ნერწყვის გამოყოფის სისტემას;
- როგორ შექმენი სენსორი, რომელიც დაადგენს საკვების მიწოდებას;

გაგრძელება

14. STEAM პროექტი

S Science (მეცნიერება)
T Technology (ტექნოლოგიები)
E Engeneering (ინჟინერია)
A Arts – ხელოვნება
M Mathematics (მათემატიკა)

პირობითი რეფლექსები

ნაშრომშის პრეზენტაციისას იმსჯელე:

- როგორ გამოარჩიე გამღიზიანებელი სინათლე გარეშე სინათლისგან;
- როგორ გამოიყენე სერვო ძრავის მოქმედების პრინციპი ნერწყვის გამოყოფის სიტემის შესაქმნელად;
- რამდენად დაგეხმარა პირობითი რეფლექსის შესახებ ექსპერიმენტის დაგეგმვასა და მექანიზმის ახსნაში პავლოვის მეცნიერული მეთოდი.
- რა მნიშვნელობა ჰქონდა პავლოვის ექსპერიმენტებს სამედიცინო დარგების განვითარებისათვის.

საგანი

ბიოლოგია მე-9 კლასი

ცნებები: სტრუქტურა და ფუნქცია; სასიცოცხლო თვისებები

საკითხები:

